ნატა ახმეტელი, ბესიკ ლორთქიფანიძე

ისტორია

ტესტები
ეროვნული გამოცდისთვის

2025

დიოგენე
ფასილიტატორი

ნატა ახმეტელი, ბესიკ ლორთქიფანიძე

ისტორია
ტესტები ეროვნული გამოცდისთვის

პროექტის ხელმძღვანელი: მაგდა ბარამიძე

რედაქტორები: სოლომონ ნოზაძე, ლალი ბაქრაძე

გარეკანის დიზაინერი: ანა ოსიაშვილი
დამკაბადონებელი: ნინო გურული

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2025
ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-922-4
www.diogene.ge

ძვირფასო მეგობრებო!

წინამდებარე ტესტების კრებული შედგენილია გამომცემლობა „დიოგენეს“ მიერ 2025 წელს, ნატა ახმეტელისა და ბესიკ ლორთქიფანიძის ავტორობით, ახალი რედაქციით გამოცემული ისტორიის კონსპექტის მიხედვით. როგორც თავად კონსპექტის, ისე ტესტური კითხვების შინაარსი სრულად შეესაბამება ეროვნული გამოცდების ისტორიის პროგრამის მოთხოვნებს.

ტესტების კრებული მოიცავს ყველა იმ საკითხს/თემას, რომლებიც კონსპექტშია განხილული. ამასთან, თემების, თავებისა და საკითხების თანამიმდევრობა ზუსტად ემთხვევა კონსპექტს. კრებულის ყოველი თავის ბოლოს მოცემულია შესაბამისი დავალებები, რომლებიც ისტორიის ერთიანი ეროვნული გამოცდის პირველი და მესამე დავალებების მსგავსია. კრებულს ერთვის სწორი პასუხები, რათა მოსწავლემ თავად შეძლოს მიღწეული შედეგების შემოწმება.

საბოლოო ჯამში, ამ დავალებების შესრულება აბიტურიენტს ცოდნასაც განუმტკიცებს და თავდაჯერებულობასაც შემატებს.

იმედი გვაქვს, ბესიკ ლორთქიფანიძისა და ნატა ახმეტელის მიერ შექმნილი ტესტურ დავალებათა ახალი კრებული წარმატებით შეასრულებს თავის დანიშნულებას – მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსი გახდება აბიტურიენტების, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების, ისტორიის მასწავლებლებისა და რეპეტიტორებისთვის.

გისურვებთ წარმატებას!

სარჩევი

1. ძველი აღმოსავლეთი 7
2. ბერძნული სამყარო 9
3. რომი. რომისა და ქართლის ურთიერთობა 12
4. ირანისა და რომის დაპირისპირება 17
5. ფრანკები 20
6. არაბები. არაბობა საქართველოში 22
7. ბიზანტია აბასიანთა სახალიფოს დაშლის შემდეგ 24
8. ევროპა X-XI საუკუნეებში. ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბება 24
9. შუა საუკუნეების ევროპული საზოგადოება 27
10. მომთაბარეები ევრაზიის სტეპებიდან 27
11. ჯვაროსნული ლაშქრობები. საქართველო I-IV ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდში 30
12. მონღოლები. საქართველო მონღოლების პერიოდში 30
13. ოსმალები 32
14. ბიზანტია პალეოლოგოსების მმართველობის პერიოდში 32
15. რეკონკისტა. პირენეს ნახევარკუნძულის გათავისუფლება არაბებისგან 32
16. ჰუმანიზმი და რენესანსი 32
17. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები 32
18. მსოფლიო XVI-XVIII საუკუნეებში 35
19. ოსმალეთი და ირანი XVI-XVII საუკუნეებში 37
20. საფრანგეთი XVII საუკუნეში. კარდინალების ხანა 39
21. ინგლისი XVII ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში 39
22. რუსეთი (ივანე III, ივანე IV, პეტრე I) 41
23. საქართველო XVIII საუკუნეში (ვახტანგ VI, ერეკლე II) 41
24. განმანათლებლობა 44
25. აშშ-ის შექმნა 44
26. საფრანგეთის რევოლუცია 44
27. საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში 47
28. დიდი ბრიტანეთი. „ვიქტორიანული ეპოქა“ 49
29. აშშ-ის სამოქალაქო ომი (1861-1865 წწ.) 49
30. გერმანიის გაერთიანება 49
31. იტალიის გაერთიანება 49

32. საერთაშორისო ვითარება I მსოფლიო ომის წინ 51
33. I მსოფლიო ომი 51
34. მსოფლიო ომის დასასრული 53
35. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა 53
36. საბჭოთა კავშირის შექმნა 55
37. ევროპა I მსოფლიო ომის შემდგომ 55
38. II მსოფლიო ომი 57
39. ცივი ომი 60
40. ინდოეთის და აფრიკის დეკოლონიზაცია 62
41. ანტისაბჭოთა მოძრაობა 62
42. სსრკ-ს დაშლა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 62
სააზროვნო 5-ქულიანი დავალებები კონკრეტული მოვლენის შესახებ 64
პასუხები 66
პასუხები 5-ქულიანი ტესტებისთვის 78

1. ძველი აღმოსავლეთი

1. რა არ იყო სამდინარო ცივილიზაციებისთვის დამახასიათებელი?

ა. ძირითადად მიწათმოქმედება იყო წამყვანი დარგი

ბ. ძირითადად მომთაბარე მეცხოველეობა იყო განვითარებული

გ. ვაჭრობა იყო განვითარებული

დ. ნაოსნობა ხელს უწყობდა ქალაქებსა და რეგიონებს შორის კომუნიკაციას

2. ძირითადად რომელი მახასიათებლები იყო განმსაზღვრელი ურუქის ქალაქ-სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის?

ა. ადმინისტრაციული, სამხედრო და რელიგიური

ბ. ადმინისტრაციული, სამხედრო და კულტურული

გ. ადმინისტრაციული, კულტურული და რელიგიური

დ. სამხედრო, კულტურული და რელიგიური

3. შუმერულ ქალაქ-სახელმწიფოებში ადმინისტრაციის ფუნქციებში არ შედიოდა?

ა. საკულტო საქმიანობა

ბ. ეკონომიკური საქმიანობა

გ. არხების გაყვანა

დ. გალავნების აშენება

4. შუმერებს არ შეუქმნიათ

ა. ზიკურათები

ბ. უძველესი კანონთა კრებული

გ. ფირფიტების სახლი

დ. პაპირუსზე ნაწერი ლურსმული ტექსტები

5. რომელმა სახელმწიფომ დაიპყრო შუმერული ქალაქ-სახელმწიფოები?

ა. ბაბილონმა

ბ. ასურეთმა

გ. ეგვიპტემ

დ. აქადმა

6. რატომ გაყავდათ ეგვიპტეში არხები?

ა. ნილოსის ადიდების დროს ნაკლები ტერიტორია რომ დატბორილიყო და ახალი მიწები სამიწათმოქმედოდ გამოეყენებინათ

ბ. ნილოსის ადიდების დროს ნაკლები ტერიტორია რომ დატბორილიყო და სამხედრო გემებით მეზობლები ადვილად დაელაშქრათ

გ. ახალი მიწები სამიწათმოქმედოდ რომ გამოეყენებინათ და სამხედრო გემებით მეზობლები ადვილად დაელაშქრათ

დ. სამხედრო გემებით მეზობლები ადვილად რომ დაელაშქრათ და გაყვანილ არხებთან ახალი ქალაქები აეგოთ

7. ნომარქების ფუნქციაში არ შედიოდა?

ა. საირიგაციო სისტემის მოწესრიგება

ბ. მოსახლეობის აღრიცხვა

გ. ტაძარში ღვთისმსახურება

დ. გადასახადების აკრეფვა

8. რა არ იყო ასურეთისთვის დამახასიათებელი?

ა. სამხედრო სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა

ბ. მის ტერიტორიაზე გადიოდა ძირითადი სავაჭრო მარშრუტები

გ. აქადს გამუდმებით ებრძოდნენ

დ. ხეთებს გამუდმებით ებრძოდნენ

9. რა არის კადეშის ბრძოლის დამახასიათებელი ნიშანი?

ა. კადეშის ბრძოლაში ხეთებმა გაიმარჯვეს და მათ ხელში გადავიდა ხმელთაშუა ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო ეგვიპტემდე

ბ. კადეშის ბრძოლაში ეგვიპტელებმა გაიმარჯვეს და მათ ხელში გადავიდა ხმელთშუა ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო მცირე აზიამდე

გ. ბრძოლა ვერცერთმა მხარემ ვერ მოიგო და მათ შორის კომპრომისული ზავი გაფორმდა

დ. კადეშის ბრძოლის შემდეგ დადებული ზავი ლურსმული დამწერლობით შედგენილი სამი რედაქციით არის შემორჩენილი

10. ამ მსჯელობებიდან რომელია მართებული?

ა. კიროს II-მ ზოროასტრიზმი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა

ბ. ქსერქსე I-მა სატრაპების და მხედართმთავრების ფუნქციები გამიჯნა

გ. კამბისეს ლაშქრობების შედეგად ქართველური ტომები XVIII და XIX სატრაპიებში შედიოდნენ, ხოლო კოლხეთი ხარკს ყოველ ხუთ წელიწადში იხდიდა

დ. დარიოს I-ის დროს გატარდა სამხედრო და ფინანსური რეფორმები

2. ბერძნული სამყარო

1. რა არ იყო ბერძნული კოლონიზაციისთვის ძირითადი მახასიათებელი?

ა. ბერძნები კოლონიებს აარსებდნენ იმიტომ, რომ სურდათ საკუთარი კულტურა ბარბაროს ხალხებში გაევრცელებინათ

ბ. ბერძნულ პოლისებს შორის მიმდინარე ომების გამო დამარცხებული ქალაქის მცხოვ-რებთა ნაწილი დასასახლებლად ახალ ტერიტორიას ეძებდა

გ. მცირემიწიანობის და შესაბამისად რესურსების ნაკლებობის გამო ბერძნები ახალ მიწებს ითვისებდნენ

დ. გაღარიბებული და ვალებში ჩავარდნილი მოქალაქეები ტოვებდნენ სამშობლოს და ახალ ტერიტორიებზე სახლდებოდნენ

2. რომელია მართებული მსჯელობა?

ა. მცირე აზიის სანაპიროზე მდებარე მილეტმა კოლონიები – ფაზისი, არქეოპოლისი და პიტიუნტი დააარსა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე

ბ. საბერძნეთში, ათენის სიახლოვეს მდებარე მილეტმა კოლონიები – ფაზისი, დიოსკურია და პიტიუნტი დააარსა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე

გ. მცირე აზიის სანაპიროზე მდებარე მილეტმა კოლონიები – ფაზისი, დიოსკურია და პიტიუნტი დააარსა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე

დ. საბერძნეთში, სპარტის სიახლოვეს მდებარე მილეტმა კოლონიები – ფაზისი, დიოსკურია და პიტიუნტი დააარსა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე

3. პლატონის და არისტოტელეს მიხედვით რომელია მდიდართა მმართველობა?

ა. ტიმოკრატია

ბ. ოლიგარქია

გ. არისტოკრატია

დ. ტირანია

4. ამ მსჯელობებიდან რომელი არ არის მართებული?

ა. პლატონისა და არისტოტელეს მიხედვით, არისტოკრატიის დროს ძალაუფლება რჩეულთა ანუ ღირსეული უმცირესობის ხელშია

ბ. არისტოტელეს მიხედვით, აბსოლუტური მონარქიის დროს ხელისუფლებისთვის არ არსებობს კანონი

გ. არისტოტელეს მიხედვით, დემოკრატიის დროს თავისუფალი და ღარიბი უმრავლესობა კანონების გარეშე მართავს

დ. არისტოტელეს მიხედვით, პოლიტეის დროს ღირსეული, თავისუფალი უმრავლესობა კანონების საფუძველზე მართავს

5. ამ მსჯელობებიდან რომელი არ არის მართებული?

ა. ეფიალტეს რეფორმის თანახმად, არეოპაგის 9-კაციანი არქონტთა კოლეგიის ზოგიერთი ფუნქცია დემოკრატიულ ორგანოებს (სახალხო კრება, სასამართლო, ბულე) გადაეცა

ბ. სოლონმა მოსახლეობა ქონებრივი ცენზის მიხედვით დაყო

გ. კლისთენეს დროს მოსახლეობა ტერიტორიული პრინციპით დაყვეს და შემოიღეს ნატეხთა სასამართლო, „ოსტრაკიზმი“

დ. პერიკლეს რეფორმით, თანამდებობის პირებს ორი წლის ვადით ირჩევდნენ

6. რომელია მართებული მსჯელობა?

ა. სახალხო კრებაზე არჩეულ ეფორებს მეფეებისა და ჰერონტების საქმიანობის ზედამხედველობა ევალებოდათ

ბ. სახალხო კრებას, აპელას 20 წელს გადაცილებული ყველა სპარტელი მამაკაცი ესწრებოდა

გ. სპარტაში ჰილოტებად იწოდებოდნენ ვაჭარ-ხელოსნები, რომლებიც თავისუფლები იყვნენ და ომებშიც ღებულობდნენ მონაწილეობას

დ. სპარტაში პერიეკებად იწოდებოდნენ ადგილობრივი მესენიელები, რომელთა ფუნქცია ძირითადად მიწის დამუშავება იყო

7. ამ მსჯელობებიდან რომელი არ არის მართებული?

ა. ბერძენ-სპარსელთა ომი საზღვაო და სახმელეთო ცივილიზაციების დაპირისპირება იყო

ბ. სპარსელების წინააღმდეგ მცირეაზიურ აჯანყებულ ბერძნულ ქალაქებს ათენი და სპარტა დაეხმარნენ

გ. დარიოს I-მა ათენის დასჯა გადაწყვიტა და საზღვაო გზით ჯარი საბერძნეთში გადასხა

დ. 490 წელს გადამწყვეტი ბრძოლა მარათონის ველზე შედგა

8. ამ მსჯელობებიდან რომელი არ არის მართებული?

ა. ქსერქსე I-მა გაიმეორა მამის დარიოს I-ის მარშრუტი და საბერძნეთში შეიჭრა

ბ. სპარსელების წინააღმდეგ თერმოპილესთან მდგარ ბერძნულ ჯარს ლეონიდასი მეთაურობდა

გ. თემისტოკლეს წინადადებით, ბერძნებსა და სპარსელებს შორის გადამწყვეტი საზღვაო ბრძოლა სალამინთან გაიმართა

დ. კალიასის ზავის თანახმად, მცირე აზიის ყველა ბერძნულ ქალაქს ავტონომიური მმართველობა ექნებოდა

9. რომელია მართებული მსჯელობა?

ა. ფილიპე მაკედონელმა შექმნა მსუბუქად შეიარაღებული ცხენოსანი ჯარი, „მაკედონური ფალანგა“

ბ. ყველა ბერძნული პოლისი წინააღმდეგობის გარეშე დამორჩილდა ფილიპე მაკედონელს

გ. ბერძნული ქალაქების მაკედონური დაჯგუფება თვლიდა, რომ ფილიპესთან გაერთიანება სპარსეთის წინააღმდეგ წარმატებულ ბრძოლას შეუწყობდა ხელს

დ. ცნობილი სპარტელი ორატორი და პოლიტიკოსი დემოსთენე ფილიპეში დემოკრატიისა და თავისუფლების მტერს ხედავდა

10. გრანიკოსთან და ისოსთან გამარჯვებების შემდეგ ალექსანდრე მაკედონელი რატომ არ დაიძრა სპარსეთის შუაგულისკენ?

ა. იმიტომ, რომ დარიოს III-თან მოლაპარაკებას აწარმოებდა

ბ. იმიტომ, რომ ჯერ ეგვიპტის დაპყრობა სურდა

გ. იმიტომ, რომ შავი ზღვის მხრიდან სპარსელების შეტევის ეშინოდა

დ. იმიტომ, რომ მისმა ჯარისკაცებმა ლაშქრობის შეწყვეტა მოითხოვეს

11. რომელი არ არის მართებული მსჯელობა?

ა. დარიოსმა ალექსნდრესთან მოლაპარაკება სცადა, მაგრამ ალექსანდრემ უარი შეუთვალა

ბ. ალექსანდრე ქურუმებმა ეგვიპტის ფარაონად გამოაცხადეს

გ. გადამწყვეტი ბრძოლა ალექსანდრესა და დარიოსს შორის გავგამელას ველზე მოხდა

დ. დამარცხებული დარიოსი ალექსანდრემ სიკვდილით დასაჯა

12. შენი აზრით, რატომ დააქორწინა ალექსანდრემ 10 000 ბერძენი მეომარი 10 000 სპარსელ ქალზე?

ა. იმიტომ, რომ ბერძნული და სპარსული საზოგადოებები და კულტურა დაეახლოვებინა

ბ. იმიტომ, რომ მის მხედართმთავრებს სპარსელი ქალები მოეწონათ

გ. იმიტომ, რომ სპარსელი დიდგვაროვნები ამას მოითხოვდნენ

დ. იმიტომ, რომ ეს სპარსელი ქალები სამხედრო ნადავლად ითვლებოდნენ

13. რომელი არ არის მართებული მსჯელობა?

ა. ელინიზმი ბერძნული და აზიური კულტურების შერწყმაა

ბ. ელინისტური ეპოქა ალექსანდრე მაკედონელის გამეფებიდან რომში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე პერიოდს მოიცავს

გ. ელინისტური ეპოქა ალექსანდრე მაკედონელის გამეფებიდან ეგვიპტის რომის სახელ-მწიფოს შემადგენლობაში შესვლამდე პერიოდს მოიცავს

დ. ისტორიკოსები ხშირად „გლობალიზმის“ ისტორიას „ელინიზმიდან“ იწყებენ

14. რომელია მართებული მსჯელობა?

ა. პტოლემაიოსის სამეფო მოიცავდა სპარსეთს, მიდიას, ბაქტრიას, პართიას, მესოპოტამიას და ჩრდილოეთ სირიას

ბ. სელევკეს სამეფო მოიცავდა სპარსეთს, მიდიას, ბაქტრიას, პართიას, მესოპოტამიას და ჩრდილოეთ სირიას

გ. სელევკეს სამეფო მოიცავდა ეგვიპტეს

დ. მაკედონიის მმართველი მითრიდატე გახდა

15. ზოგიერთი ისტორიკოსი აზოსა და ფარნავაზის დაპირისპირებას ორ ქართულ დინასტიას შორის დაწყებულ ომად განიხილავს. რატომ?

ა. იმიტომ, რომ ფარნავაზის მოკავშირე დასავლეთ საქართველოს ერისთავი ქუჯი იყო

ბ. იმიტომ, რომ ფარნავაზის და ქუჯის დაპირისპირებაში ელინისტური სახელმწიფოები ჩაერივნენ

გ. იმიტომ, რომ ფარნავაზის და ქუჯის დაპირისპირებაში ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები დურძუკები ჩაერივნენ

დ. იმიტომ, რომ ფარნავაზი მცხეთის მმართველის – მამასახლისის – მემკვიდრე, ხოლო აზო – ირანის, სამხრეთის ქართლის მეფის ძე იყო

3. რომი. რომისა და ქართლის ურთიერთობა

1. რა არ იყო რომში მეფობის პერიოდისთვის დამახასიათებელი?

ა. სენატი მეფის სათათბირო ორგანო იყო და თავდაპირველად მასში 100 პატრიცი შედიოდა
ბ. მეფობა ძველ რომში მემკვიდრეობით გადაეცემოდა
გ. რომის უმაღლესი სახელმწიფო ორგანო კურიული კომიცია-სახალხო კრება იყო
დ. რომის ყველა მოქალაქე – პატრიციც და პლებეიც, ქონებრივი ცენზის მიხედვით 5 კატეგორიად იყოფოდა და თითეულ კატეგორიას ცენტურიები უნდა გამოეყვანა

2. რა მიზანს ემსახურებოდა სერვიუს ტულიუსის რეფორმა?

ა. არმიაში მეომრების რაოდენობის გაზრდას
ბ. პატრიციების უფლებების შენარჩუნებას
გ. პატრიციებისა და პლებეების პოლიტიკური უფლებების გათანაბრებას
დ. პატრიციებსა და პლებეებს შორის არსებული უთანასწორობის მოწესრიგებას

3. რა არ იყო რომში რესპუბლიკის პერიოდისთვის დამახასიათებელი?

ა. რესპუბლიკის ძირითადი სახელმწიფო ორგანოები იყო სახალხო კრებები – ცენტურიების და ტრიბების კომიციები
ბ. არჩეულ სახელმწიფო მოხელეებს მაგისტრატები ერქვათ
გ. უმაღლესი თანამდებობის პირი ერთი არჩეული კონსული, ხოლო მისი თანაშემწე, პრეტორი იყო
დ. პლებეების მიერ არჩეულ სახალხო ტრიბუნს ვეტოს უფლება ჰქონდა

4. რომელი მსჯელობაა მართებული?

ა. სულამ სენატი დაითხოვა და თავი განუსაზღვრელი ვადით დიქტატორად გამოაცხადა
ბ. პომპეუსმა თავი იმით გამოიჩინა, რომ სპარტაკის აჯანყება ჩაახშო
გ. კრასუსმა წარმატებით ილაშქრა პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორის წინააღმდეგ
დ. იულიუს კეისარმა წარმატებით დალაშქრა გალია

5. რომელი მსჯელობა არ არის მართებული?

ა. იულიუს კეისარი დაეხმარა კლეოპატრას თავის ძმის წინააღმდეგ ბრძოლაში
ბ. იულიუს კეისარმა დაამარცხა პონტოს მეფე ფარნაკე
გ. კრასუსის მეთაურობით რესპუბლიკის მომხრეებმა იულიუს კეისრის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს და მოკლეს
დ. იულიუს კეისარმა სენატის წევრთა რაოდენობა 900-მდე გაზარდა და ამით სახალხო კრებას ფუნქცია დაუკარგა

6. რომელი მსჯელობა არ არის მართებული?

ა. რომის პირველი იმპერატორი I ტრიუმვირატის ერთ-ერთი წევრი ოქტავიანე გახდა
ბ. იმპერიის გამოცხადებას რომში წინ უსწრებდა ბრძოლა ოქტავიანესა და მარკუს ანტონიუსს შორის

გ. მარკუს ანტონიუსმა ეგვიპტის დედოფალსა და თავის მეუღლეს კლეოპატრას რომის აღმოსავლეთის ზოგიერთი პროვინცია აჩუქა
დ. გადამწყვეტი ბრძოლა ოქტავიანესა და ანტონიუსს შორის აქციუმის კონცხთან გაიმართა

7. რა არ იყო პრინციპატისთვის დამახასიათებელი?

ა. გარეგნულად რომში რესპუბლიკური მმართველობა შენარჩუნებული იყო
ბ. ქვეყნის სათავეში იმპერატორი იდგა
გ. იმპერატორობა მემკვიდრეობით გადაეცემოდა
დ. იმპერატორის დადგენილებები სენატის გადაწყვეტილებებს უტოლდებოდა

8. რა არ იყო დომინატისთვის დამახასიათებელი?

ა. ქვეყნის სათავეში ტეტრარქები იდგნენ
ბ. ორი ავგუსტუსი ორ თანამმართველს, კეისარს ირჩევდა
გ. დომინატის ხანა დიოკლეტიანეს მმართველობიდან დაიწყო
დ. რომის იმპერატორები სენატის დადგენილებით ირჩეოდნენ

9. რომელი მსჯელობაა მართებული?

ა. II პუნიკურ ომში კართაგენელებმა ჰანიბალის მეთაურობით გაიმარჯვეს
ბ. I პუნიკური ომი ესპანეთში დაიწყო
გ. III პუნიკურ ომამდე რომაელებმა სელევკიდების მეფე ანტიოქოს III დაამარცხეს
დ. III პუნიკური ომის დაწყების მიზეზი სიცილიაში რომისა და კართაგენის დაპირისპირება გახდა

10. რომელი მსჯელობა არ არის მართებული?

ა. რომსა და პონტოს სამეფოს დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი ბოსფორის სრუტის რომის ხელში გადასვლა იყო, რამაც პონტოს შავი ზღვის აუზში ვაჭრობა შეასუსტა
ბ. მითრიდატეს I ომში პონტოს მეფე საბერძნეთში გადავიდა და იქიდან რომაელები გაა-ძევა, თუმცა შემდეგ ლუკულუსთან ბრძოლაში დამარცხდა
გ. მითრიდატეს III ომში პონტოს მოკავშირეები იყვნენ სომხეთი, ქართლი და ალბანეთი
დ. მითრიდატეს III ომის საბაბი გახდა ბითინიის მეფის გარდაცვალება და მისი ანდერძი, რომლის თანახმად, მან ქვეყანა რომს დაუტოვა

11. რომაელებთან დაპირისპირების დროს რა არ გაუკეთებია ქართლის მეფე არტაგს?

ა. დაანგრია ხიდები მტკვარზე და არაგვზე
ბ. შვილები მძევლად გაუგზავნა პომპეუსს
გ. პომპეუსს ძღვნად ოქროს სარეცელი, მაგიდა და სამეფო ტახტი მიართვა
დ. ისარგებლა კოლხეთში რომაელების გადასვლით და უარი თქვა რომაელთა მოკავში-რეობაზე

12. ამ ისტორიული პირებიდან რომელი დაუპირისპირდა მამას და ბიძას?

ა. კალიგულა
ბ. რადამისტი
გ. ფარსმან I
დ. მითრიდატე I

13. რა დამსახურების გამო უწოდებენ იმპერატორ ტრაიანეს საუკეთესო პრინცეპსს?

ა. მან დაიმორჩილა დაკები და წარმატებით ილაშქრა პართიაში
ბ. მან წარმატებით დალაშქრა ბრიტანეთი და გალია
გ. მან შექმნა დომინატი
დ. მან დაიმორჩილა სომხეთი, იბერია და ალბანეთი

14. რომის რომელი იმპერატორების დროს მოღვაწეობდა ფარსმან ქველი?

ა. ტიბერიუსის და კალიგულას
ბ. კალიგულას და კლავდიუსის
გ. ადრიანეს და ანტონინუს პიუსის
დ. ტრაიანეს და ადრიანეს

15. რატომ ჰქონდა ფარსმან ქველს, II საუკუნის 30-იან წლებში, რომის იმპერატორთან დაძაბული ურთიერთობა?

ა. იმიტომ, რომ რომის მოკავშირე პართიას თავს დაესხა
ბ. იმიტომ, რომ მომთაბარე ჰუნების წინააღმდეგ ბრძოლაში არ დაეხმარა
გ. იმიტომ, რომ რომში არ ჩავიდა
დ. იმიტომ, რომ რომთან შეთანხმების გარეშე დაიკავა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპიროს ნაწილი

16. რომელი სასანიანი შაჰის წარწერაში იხსენიება ქართლის მეფე ამაზასპი?

ა. არდაშირის
ბ. შაბურ I-ის
გ. შაბურ II-ის
დ. ხოსრო I-ის

17. რომელი მსჯელობაა მართებული?

ა. 298 წლის ნისიბინის ზავით სამხრეთ კავკასია (ალბანეთის გარდა) რომის მფლობელობაში გადავიდა, რამაც ხელი შეუწყო IV ს-ის პირველ ნახევარში ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას
ბ. ქართლის მეფე ამაზასპი იძულებული იყო ირანის მხარეს გადასულიყო, მაგრამ მალევე კვლავ რომის მოკავშირე გახდა
გ. 298 წლის ნისიბინის ზავის შემდეგ რომსა და სასანურ ირანს შორის ომი აღარ ყოფილა
დ. იმპერატორმა ვალერიანემ 260 წელს ირანის არმია დაამარცხა და სირიის ქალაქი ანტიოქია აიღო

18. რომელი მსჯელობა არ არის მართებული?

ა. კოლოსეუმის აგებამდე რომში თეატრი არ ფუნქციონირებდა
ბ. დღესასწაულების დროს რომში ამფითეატრებსა და ცირკის შენობებში თეატრალური წარმოდგენები იმართებოდა
გ. რომაელთა ერთ-ერთი გასართობი გლადიატორთა ბრძოლების ყურება იყო
დ. რომაელებმა მშენებლობის დროს პირველებმა გამოიგონეს ბეტონი

19. რომის რომელი იმპერატორი არ დევნიდა ქრისტიანებს?

ა. ნერონი

ბ. ოქტავიანე

გ. ტრაიანე

დ. დიოკლეტიანე

20. დიოკლეტიანეს სამხედრო რეფორმა არ გულისხმობდა:

ა. ჯარის სასაზღვრო და მობილურ ნაწილებად გაყოფას

ბ. საყოველთაო გაწვევის შემოღებას

გ. ყველა რომაული ოჯახიდან ერთი მოლაშქრის გამოყვანას

დ. გარკვეული საფასურის სანაცვლოდ ბარბაროსების რაზმების სამსახურს

21. რომელი მსჯელობა არ არის მართებული?

ა. დიოკლეტიანეს რეფორმის თანახმად, საგადასახადო ერთეული კომლი გახდა

ბ. დიოკლეტიანეს რეფორმის თანახმად, საგადასახადო ერთეული მიწა გახდა

გ. დიოკლეტიანეს რეფორმის თანახმად, საქონელზე მაქსიმალური ფასები დაწესდა

დ. დიოკლეტიანეს რეფორმის თანახმად, ხაზი გაესვა იმპერატორის ღვთაებრიობას

22. რომის რომელმა იმპერატორებმა გამოსცეს მილანის ედიქტი?

ა. კონსტანტინე I-მა და მაქცენსიუსმა

ბ. მაქსენციუსმა და ლიკინიუსმა

გ. კონსტანტინე I-მა და ლიკინიუსმა

დ. დიოკლეტიანემ და კონსტანტინე I-მა

23. რომელი მსჯელობა არ არის მართებული?

ა. ნიკეის კრებაზე ხუთი ეპისკოპოსის (იერუსალიმის, რომის, ანტიოქიის, ალექსანდრიის და კონსტანტინოპოლის) უპირატესობა დადასტურდა

ბ. ნიკეის საეკლესიო კრებაზე წმინდა სამების ერთარსობა გამოცხადდა

გ. ნიკეის კრებაზე არიანელობა ერესად (მკრეხელობად) გამოცხადდა

დ. ნიკეის კრებაში მონაწილეობდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე

24. რომელი მსჯელობაა მართებული?

ა. მეფე მირიანმა წმინდა ნინოს კახეთში ჯარი იმიტომ გააყოლა, რომ კახელების ნაწილს არ სურდა ქრისტიანობის მიღება

ბ. წმინდა ნინომ მოუწოდა მცხეთის მოსახლეობას დაემტვრიათ წარმართული კერპები

გ. წმინდა ნინო ქართლში ანატოლიიდან ჩამოვიდა

დ. მეფე მირიანმა ქრისტიანობა იმიტომ მიიღო, რომ ნინოს ღმერთმა მეხისგან იხსნა

25. პირველი სამონასტრო ცხოვრება საქართველოში დაიწყეს:

ა. „ასურელმა მამებმა“დავით გარეჯელის მეთაურობით

ბ. გრიგოლ ხანძთელმა და მისმა მოწაფეებმა

გ. ბასილი დიდმა და გრიგოლ ნოსელმა

დ. ასურელმა მამებმა იოანე ზედაზნელის მეთაურობით

26. რომის რომელმა იმპერატორმა გაყო ქვეყანა ორ ნაწილად?

ა. თეოდოსი II-მ
ბ. თეოდოსი I-მა
გ. არკადიუსმა
დ. ჰონორიუსმა

27. რომელი არ არის გერმანული ტომი?

ა. ლანგობარდები
ბ. ჰუნები
გ. ბურგუნდები
დ. ვანდალები

28. „ხალხთა დიდი გადასახლების“ მიზეზი არ არის:

ა. კლიმატის ცვლილება
ბ. საძოვრების ძიება
გ. რომსა და გალებს შორის განუწყვეტელი ომები
დ. მდიდარი რომაული ტერიტორიები

29. რომელმა გერმანულმა ტომმა დაამარცხა რომის არმია ადრიანოპოლის ბრძოლაში?

ა. ოსტგოთებმა
ბ. ვანდალებმა
გ. ვესტგოთებმა
დ. ფრანკებმა

30. რომელ მათგანს არ აუღია რომი?

ა. ვესტგოთების მეფე ალარიხს
ბ. ჰუნების მეფე ატილას
გ. დაქირავებული გერმანელების რაზმის მეთაურს ოდოაკრს
დ. ვანდალების მეფე ჰაიზერიხს

31. რომელი გერმანული ტომი არ გადასულა ბრიტანეთში?

ა. ანგლები
ბ. საქსები
გ. იუტები
დ. ვანდალები

4. ირანისა და რომის დაპირისპირება

1. რატომ არ ომობდნენ რომი და სასანური ირანი IV საუკუნის 50-იან წლებში?

ა. იმიტომ, რომ რომის იმპერატორმა ცოლად ირანის შაჰის ქალიშვილი შეირთო
ბ. იმიტომ, რომ ორივე სახელმწიფოს არაბები ემუქრებოდნენ
გ. იმიტომ, რომ რომს – გერმანელები, ხოლო ირანს ჰიონიტები ესხმოდნენ თავს
დ. იმიტომ, რომ ნისიბინის 40 წლიან ზავს ვადა არ ჰქონდა გასული

2. რა არ იყო გათვალისწინებული 363 წელს რომსა და ირანს შორის დადებული ზავით?

ა. რომი აღმოსავლეთში შეამცირებდა ჯარის რაოდენობას
ბ. ირანს დაუბრუნდებოდა წინა ზავით დაკარგული 5 პროვინცია
გ. ირანს დაუბრუნდებოდა რომის საზღვართან მდებარე 2 ქალაქი
დ. რომი არ ჩაერეოდა სომხეთის საქმეებში

3. რომელი ისტორიული მოვლენა მოხდა IV საუკუნის 60-იან წლებში?

ა. ქართლის სამეფო ორად, რომისა და ირანის გავლენის ქვეშ მყოფ ნაწილებად გაიყო
ბ. ქართლსა და რომს შორის გაფორმდა მეგობრობის ხელშეკრულება
გ. ქართლის მეფის დახმარებით ჩრდილო კავკასიელმა მთიელებმა ილაშქრეს ირანში
დ. ქართლის ჯარმა ირანელები დაამარცხა

4. ეგრისში IV- V საუკუნეებში რომელი მოვლენა არ მომხდარა?

ა. ეგრისმა დასავლეთი საქართველო გააერთიანა
ბ. ეგრისის ხელში გადავიდა ქართლის სამეფოს ნაწილი – კლარჯეთი
გ. ეგრისის მეფე გუბაზ I ბიზანტიელებს აუჯანყდა
დ. ამ პერიოდში ეს სამეფო რომის, შემდეგ ბიზანტიის ვასალად რჩებოდა

5. V საუკუნის 20-40-იან წლებში სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში გარკვეული ცვლილებები მოხდა. რომელი მოვლენა არ მომხდარა ამ პერიოდში?

ა. ირანმა იკისრა თავის ჯარით დაეცვა ჩრდილოეთ კავკასიონის გადმოსასვლები – დარიალი და დარუბანდი
ბ. ბიზანტიამ იკისრა ჩრდილოეთ კავკასიონის გადმოსასვლების დაცვისთვის ირანისთვის ფული გადაეხადა
გ. ირანი შეეცადა დაპყრობილ ქვეყნებში მაზდეანობის მასობრივად გავრცელებას
დ. ირანმა გააუქმა მეფობა ქართლში

6. რომელი ქართველი მემატიანე აგვიწერს ვახტანგ გორგასლის მეფობის ისტორიას?

ა. ლეონტი მროველი
ბ. ჯუანშერი
გ. ჟამთააღმწერელი
დ, იაკობ ხუცესი

7. თავის მეფობის დასაწყისში რა არ გაუკეთებია ვახტანგ გორგასალს?

ა. ილაშქრა ჩრდილოეთ კავკასიაში

ბ. გაამაგრა დარიალის გადმოსასვლელი და აქ ციხესიმაგრე ააგო

გ. სომხებთან ერთად აუჯანყდა ირანელებს

დ. ილაშქრა დასავლეთ საქართველოში

8. თავის მეფობის მეორე ნახევარში რა არ გაუკეთებია ვახტანგ გორგასალს?

ა. მოახდინა ქართული ეკლესიის რეორგანიზაცია

ბ. მცხეთაში ააგო სვეტიცხოველი

გ. მოკლა მოღალატე ვარსქენ პიტიახში

დ. შემოიერთა ეგრისი და საქართველო გააერთიანა

9. რა მოვლენა არ უკავშირდება ნიკას აჯანყებას?

ა. იუსტინიანე I-მა მოახერხა კონსტანტინოპოლიდან გაქცევა და ერთი წლის შემდეგ აჯანყების ჩახშობა

ბ. იუსტინიანე I მხარს უჭერდა ლურჯების („ვენეტების“) პარტიას

გ. ნიკას აჯანყებას მწვანეების („პრასინების“) პარტია ჩაუდგა სათავეში

დ. ნიკას აჯანყების დამარცხებაში დიდი წვლილი იმპერატორის მეუღლემ, თეოდორამ შეიტანა

10. რომელი მოვლენა არ მომხდარა იუსტინიანე I-ის იმპერატორობის დროს?

ა. ბიზანტიელებმა გაანადგურეს ვანდალების სამეფო

ბ. ბიზანტიელებმა დაიპყრეს ფრანკების სამეფო

გ. იმპერატორმა გაატარა საკანონმდებლო რეფორმა

დ. ბიზანტიელებმა აიღეს ოსტგოთების სამეფოს დედაქალაქი რავენა

11. რომელი მოვლენა არ მომხდარა VI საუკუნის ეგრისში?

ა. ეგრისში ქრისტიანობა საბოლოოდ დამკვიდრდა

ბ. ეგრისის მეფის მოწვევით ქვეყანაში ირანის ჯარი შემოვიდა

გ. ეგრისის მეფე გუბაზ II ირანის შაჰის დავალებით მოკლეს

დ. ეგრისში ყველაზე სისხლიმღვრელი ბრძოლები პეტრასა და არქეოპოლისთან გაიმართა

12. რა მოვლენა არ უკავშირდება გუბაზ II-ის მკვლელობას?

ა. გუბაზი ბიზანტიელ სარდლებს იმპერატორთან ამხელდა

ბ. გუბაზი ირანელ სარდლებს შაჰთან ამხელდა

გ. გუბაზის მკვლელობის შემდეგ ჩატარდა ეგრისელების სახალხო კრება

დ. ეგრისში ჩატარდა გუბაზის მკვლელების სასამართლო

13. რატომ დაწესდა ერისმთავრის თანამდებობა?

ა. იმიტომ, რომ ქართლის ერისთავები აუჯანყდნენ ირანელებს და მეფის ნაცვლად აირჩიეს ერისთავთა შორის უპირველესი

ბ. იმიტომ, რომ ქართლის ერისთავები აუჯანყდნენ ბიზანტიელებს და მეფის ნაცვლად აირჩიეს ერისთავთა შორის უპირველესი

გ. ქართლსა და ირანს შორის გაფორმდა სამშვიდობო შეთანხმება და სამხედრო დახმარების პირობით მათ დანიშნეს ერისმთავარი

დ. ქართლსა და ბიზანტიას შორის გაფორმდა სამშვიდობო შეთანხმება და სამხედრო დახმარების პირობით მათ დანიშნეს ერისმთავარი, რომელსაც კურაპალატის ტიტული ჰქონდა

14. რა მოვლენა არ მომხდარა VI საუკუნის 80-90-იან წლებში?

ა. ბიზანტიამ გააუქმა მეფობა ეგრისში

ბ. ბიზანტიის იმპერატორი მავრიკი II დაეხმარა ირანელ უფლისწულს ხოსროს ტახტზე ასვლაში

გ. ქართლის მეფე აუჯანყდა ბიზანტიელებს

დ. ქართლი ბიზანტიის გავლენის ქვეშ გადავიდა

15. ბიზანტიის რომელმა იმპერატორმა ილაშქრა ხაზარებთან ერთად თბილისზე?

ა. მავრიკი II-მ

ბ. ჰერაკლე I-მა

გ. ფოკამ

დ. იუსტინიანე II-მ

5. ფრანკები

1. სად მიიღეს დასახლების უფლება ფრანკებმა და რატომ?

ა. ფრანკები შეიჭრნენ რომის იმპერიის ტერიტორიაზე, გალიაში და იმპერატორი იძულებული გახდა მათთვის სამოსახლო გამოეყო

ბ. ფრანკებმა ადრიანოპოლის ბრძოლაში რომაელები დაამარცხეს და თესალიაში დასახლდნენ

გ. ფრანკებმა მეროვეუსის მეთაურობით მონაწილეობა მიიღეს კატალაუნის ბრძოლაში და ჯილდოდ გალიაში ფედერატებად დასახლების უფლება მიიღეს

დ. ფრანკები შეიჭრნენ გალიაში, დაამარცხეს გალების მეფე და იქ დასახლდნენ

2. რა მოვლენა არ უკავშირდება ხლოდვიგის სახელს?

ა. ხლოდვიგმა ფრანკული ტომები გააერთიანა

ბ. ხლოდვიგმა შექმნა „სალიკური სამართალი“

გ. ხლოდვიგმა მიიღო არიანელობა

დ. ხლოდვიგი დაქორწინდა ბურგუნდიელი მეფის ასულზე, კლოტილდაზე

3. ფრანკთა სამეფოში გაწეული სამსახურის სანაცვლოდ მეომრებისთვის გადაცემულ მიწის ნაკვეთს ერქვა:

ა. ალოდი

ბ. ბენეფიციუმი

გ. ფეოდი

დ. აგარაკი

4. რა მოვლენა არ უკავშირდება კარლოს მარტელის სახელს?

ა. ის იყო „მაჟორდორმი“

ბ. ის იყო პირველი კაროლინგი მეფე

გ. პუატიეს ბრძოლაში დაამარცხა არაბები

დ. მისი ინიციატივით დამკვიდრდა მიწის მფლობელობის ფორმა „ბენეფიციუმი“

5. რა მოვლენა არ უკავშირდება პიპინ მოკლეს სახელს?

ა. მან დაამარცხა ლანგობარდები

ბ. მისი დახმარებით შეიქმნა „პაპის ოლქი“

გ. იგი მეფედ აკურთხა რომის პაპმა

დ. იგი ებრძოდა ფრანკთა სამეფოში შეჭრილ არაბებს

6. ყველაზე დიდხანს ვის ებრძოდა კარლოს დიდი?

ა. თავის ძმას, კარლომანს

ბ. ესპანეთში არაბებს

გ. საქსებს

დ. სლავებსა და ავარებს